ხელშეკრულება №01/131

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესახებ

ქ. ახალციხე 21 მაისი 2018 წელი

სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ს.კ. 424066977, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფესორ როინ თათეშვილის სახით, შემდგომში „შემსყიდველი“ ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ შპს „ჯი ეს სი“, ს.კ 402046406, დირექტორის ეკატერინე ყურაშვილის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი“, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის” თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით განხორციელებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ სამცხე-ჯავახეთის რეგიონალურ მათემატიკის ოლიმპიადაში გამოვლენილ წარმატებულ მოსწავლეთა და სკოლის დაჯილდოების მიზნით თასებისა და მედლების შესყიდვა. Cpv კოდი: 18500000

2. ხელშეკრულების ობიექტი და ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ობიექტია: თასი, მედალი

18530000 თასი – 4 ც X 22,00 ლ = 88,00 ლარი

18512200 მედალი – 40 ც X 4,00 ლ = 160,00 ლარი

2.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს 248,00 (ორასორმოცდარვა) ლარს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 შესყიდვის ობიექტის მოწოდების ადგილია ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ ქ. №197.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა, 2018 წლის 21 მაისიდან 2018 წლის 25 მაისის ჩათვლით პერიოდი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიწოდება ფორმდება სასაქონლო ზედნადებით ან/და მიღება-ჩაბარების აქტით „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის.

6. ანგარიშების ფორმა, ვადები და ადგილი

მიმწოდებელთან ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით, საქონლის მიწოდებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი იღებენ ურთიერთვალდებულებებს საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის” სრული დაცვით.

7.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე; ბ. მოითხოვოს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა დამატებითი ანაზღაურების გარეშე; გ. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება, ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

7.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა. საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ფორსმაჟორული სიტუაციების დადგომისთანავე;

ბ. აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეთანხმებული ასორტიმენტით.

7.4 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა. მოითხოვოს შემსყიდველისაგან შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში; ბ. დააყენოს შემსყიდველის პასუხისმგებლობის საკითხი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

7.5 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას:

ა. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვა;

ბ. წინასწარ აცნობოს შემსყიდველს მოსალოდნელი შეფერხების შესახებ;

გ. საქმის კურსში ჩააყენოს შემსყიდველი ფორს-მაჟორული სიტუაციის დადგომისთანავე.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, შემსყიდველია აფრთხილებს წერილობით, რათა მან უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების განუხრელი დაცვა. ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყოდველს უფლება აქვს მიმწოდებელთან წერილობითი შეთანხმების გარეშე სათანადო რეაგირებისათვის მიმართოს კანონით გათვალისწინებულ ყველა ზომას.

8.2 თუ შემსყიდველი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მიმწოდებელს უფლება აქვს გამოიყენოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ზომა.

8.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრება შეუსრულებელი ვალდებულების 0,01 %-ის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1 მხარეები არა არიან პასუხისმგებელნი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს გამოწვეული იქნება დაუძლეველ (ფორს-მაჟორულ) გარემოებათა გამო, როგორიცაა ხანძარი, წყალდიდობა, მეწყერი, ომები და სხვა.

9.2 მხარე, რომელსაც შეექმნება ფორს-მაჟორული სიტუაცია, ვალდებულია აღნიშნულის დადგომისთანავე დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1 ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი გადასინჯვას არ ექვემდებარება.

10.2 ხელშეკრულებების პიროებების შეცვლა დასაშვებია ურთიერთშეთანხმების შემდეგ, თუ ამით არ ილახება ერთ ერთი მხარის ინტერესები.

11. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესასყიდი ობიექტის ხარისხის ინსპექტირება ნებისმიერ ეტაპზე თავისი წარმომადგენლის მეშვეობით.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2018 წლის 21 მაისიდან 2018 წლის 25 ივნისის ჩათვლით პერიოდი.

13. მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები.

„შემსყიდველი“:	„მიმწოდებელი“:
სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	შპს „ჯი ეს სი“
ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106	ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №197
საიდენტიფიკაციო კოდი 424066977	საიდეტიფიკაციო კოდი 402046406
სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში	სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
სახაზინო კოდი: 32 04 05 09	ა/ა GE08BG0000000161595100
ტელ. 22 12 19	ტელ. 2 34 07 62
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,	დირექტორი: ეკატერინე ყურაშვილი
პროფესორი: როინ თბოევშვილი	
----------	----------

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

21 მაისი 2018 წელი

ვადასტურებ, რომ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, #01/131 ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით, ჩემი მონაწილეობა შპს-თან ,,ჯი ეს სი'' არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფინანსური დაგეგმარებისა და შესყიდვების
სამსახურის სპეციალისტი: გიორგი დიასამიძე